



ბორჯომის მუნიციპალიტეტის
სამუშაოგადადანი განვითარების
დოკუმენტი (2020 - 2023)

2020 წელი



**MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS
OF DENMARK**

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération Suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun Svizra

Swiss Agency for Development
and Cooperation SDC

WITH FUNDING FROM
**AUSTRIAN
DEVELOPMENT
COOPERATION**



Empowered lives.
Resilient nations.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი მომზადებულია პროექტის „მონაწილეობითი ადგილობრივი განვითარება“ გაეროს განვითარების პროგრამის „(UNDP) პროექტების „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში (FRLD 2)“ და „დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე (DGG)“ ფარგლებში კონტრაქტორი ორგანიზაციის საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის (AYEG) მონაწილეობით, დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა (SDC) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) ფინანსური მხარდაჭერით.

წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციების მოსაზრებებს.

სარჩევი

წინასიტყვაობა.....	1
1. მუნიციპალიტეტის ხედვა, მიზნები და ამოცანები.....	2
2. სიტუაციის ანალიზი.....	4
2.1 ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვა.....	4
2.2 მუნიციპალიტეტის ეკონომიკა.....	5
2.3 მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა.....	9
2.4 ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა.....	10
2.5 განათლება, კულტურა და სპორტი.....	11
2.6 გარემოს დაცვა.....	12
2.7 მუნიციპალური სერვისები და მმართველობა.....	13
3. SWOT ანალიზი.....	15
4. განხორციელების მექანიზმი.....	18
5. მონიტორინგი და შეფასება.....	22
დანართი.....	24

წინასიტყვაობა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი (2020 - 2023) წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მიზნით მტკიცებულებებზე დაფუძნებულ და დაინტერესებული მხარეების თანამონაწილეობით შემუშავებულ დოკუმენტს, რაც გამოიხატება არსებული საჭიროებების შესწავლაში, მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრაში და მათ მისაღწევად საჭირო ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი წარმოადგენს ჩხოროწყუს საშუალოვადიან სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად გეგმას, რომელიც ასახავს ადგილობრივ მთავარ მიზნებს, ამოცანებს და მათი მიღწევის კონკრეტულ მექანიზმებს.

შემუშავების პროცესი - მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავების პროცესი ითვალისწინებდა მაღალ სამოქალაქო აქტივობას და ინტერესთა ყველა ჯგუფის შეხედულების გაანალიზებას. სწორედ, თანამონაწილეობით პრინციპს ეფუძნება დოკუმენტის შემუშავების პროცესი და წარმოადგენს კომპლექსურ მიდგომას გააერთიანოს სხვადასხვა მხარეების ინტერესები, მოსაზრებები, პრიორიტეტები და პრობლემების გადაჭრის ხედვა, განვითარებისა და პროგრესის საზიარო მიზნის მისაღწევად.

დოკუმენტის შემუშავების პროცესის ინიციატორი იყო მუნიციპალიტეტის მერი, რომელმაც ჩამოაყალიბა დოკუმენტის შემუშავებაზე პასუხისმგებელი დაგეგმვის სამუშაო ჯგუფი. დაგეგმვის სამუშაო ჯგუფმა იხელმძღვანელა პროექტის ფარგლებში შექმნილი „მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შედგენის პრაქტიკული სახელმძღვანელო“ მეთოდოლოგიით და უზრუნველყო დაგეგმვის პროცესში სამოქალაქო და კერძო სექტორის მაღალი ჩართულობა, ქალებისა და ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობით.

სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნას მრავალფეროვანი აუდიტორიის მონაწილეობა და ჩართულობა დაგეგმვის პროცესში.

1. მუნიციპალიტეტის ხედვა, მიზნები და ამოცანები

მუნიციპალიტეტის ხედვა - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი არის სამეგრელოს რეგიონში შემავალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, სადაც უზრუნველყოფილია ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, წიაღისეულის, მიწისა და წყლის ეფექტიანი და მდგრადი გამოყენება. მუნიციპალიტეტში არსებული გამართული ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს მოქალაქეთა ცხოვრების მაღალ ხარისხს.

მუნიციპალიტეტში განვითარებულია მცირე და საშუალო მეწარმეობა. მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში ინვესტორთა მოზიდვას ხელს უწყობს სათანადო საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურება.

სოფლის მეურნეობა მუნიციპალიტეტის ეკონომიკის წამყვანი დარგია. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში დანერგილი ინოვაციები ხელს უწყობს პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციას.

ტურისტული ინფრასტრუქტურა და ობიექტები, ტურიზმის დარგში დასაქმებული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი ადეკვატურ მომსახურებას უწევს მუნიციპალიტეტში მყოფ პირებს.

წინამდებარე ნაწილში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი მიზნები და ამოცანები და მათი შესაბამისი შედეგები, რომელთა დადგომაც ივარაუდება შემდგომი 4 წლის განმავლობაში შესაბამისი მუნიციპალური პროექტებისა თუ პროგრამების განხორციელების შედეგად.

მუნიციპალიტეტის მიზნები და ამოცანები

მიზანი 1.	მოსახლეობის საცხოვრებელი და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება
ამოცანა 1.1	საკომუნიკაციო და სხვა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება
ამოცანა 1.2	გასართობი და დასასვენებელი გარემოს შექმნა
ამოცანა 1.3	სოციალურად დაუცველი ფენების საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული მუნიციპალური სოციალური პოლიტიკის განხორციელება
ამოცანა 1.4	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურისა და მომსახურების გაუმჯობესება
მიზანი 2.	მუნიციპალიტეტის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა
ამოცანა 2.1	მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული პოტენციალის გამოყენება, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ახალი მარშრუტების შექმნა და მოსახლეობის ჩართვის ხელშეწყობა ამ დარგში
ამოცანა 2.2	სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა, მათ შორის გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის წახალისება
ამოცანა 2.3	უწყვეტი განათლების სისტემის შექმნა და მოსახლეობის კვალიფიკაციის ამაღლება
მიზანი 3.	გარემოს დაცვა და ბუნებრივი კატასტროფების პრევენცია

ამოცანა 3.1	ეროზიული და მეწყერული პროცესების პრევენცია
ამოცანა 3.2	ნაპირსამაგრი და სხვა სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობა
ამოცანა 3.3	ნარჩენების მართვის ეფექტიანობის ამაღლება

დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად აქტივობების დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები და ხელი შეეწყობა გენდერული თანასწორობის დამყარებას. წარმოდგენილი მიზნები და ამოცანები ემსახურება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას და აერთიანებს ადგილობრივ დონეზე სიღარიბის დაძლევისთვის კონკრეტულ ქმედებებს.

2. სიტუაციის ანალიზი

2.1 ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ტერიტორია გორაკ-ბორცვიანია, ვრცელდება ზღვის დონიდან 200 მეტრიდან - 3,000 მეტრ სიმაღლემდე. რელიეფი მრავალფეროვანია. ტერიტორიის სამხრეთი ნახევარი კოლხეთის ბარის ფარგლებშია (100-150 მ-ზე), წარმოადგენს სუსტად დანაწევრებულ ვაკესა და მთისწინეთს. ვაკე აგებულია მეოთხეული (რიცნარი, ქვიშები, თიხები) და მესამეული (ოლიგოცენური და ნეოგენური) დანალექი წყებებით — თიხებით, ქვიშაქვებით, კირქვებით, კონგლომერატებით, მერგელებით. მთისწინეთის ზონა ძირითადად აგებულია ცარცული კირქვებით, მერგელებით, ქვიშაქვებით.

ჩრდილოეთ ნახევარში მთაგორიანი რელიეფია. ჩრდილოეთით აღმართულია ეგრისის ქედი, რომლის სამხრეთი კალთა აგებულია შუაიურული პორფირიტებით და მათი ფუფებით, ტუფ-ბრექჩიებით, ტუფ-ქვიშაქვებით, ფიქლებით, ქვიშაქვებით, თხემური ნაწილი — ქვედაიურული თიხაფიქლებით, ქვიშაქვებით, კირქვებით. იგი დანაწევრებულია მდინარე ხობისწყლისა და მისი შენაკადების ღრმა ეროზიული ხეობებით. მუნიციპალიტეტის უმაღლესი ადგილია მთა ომაჭირხოლე (3166 მ). მუნიციპალიტეტში ვრცელდება მიგარის კირქვული მასივი, სადაც მრავალი მღვიმეა წარმოდგენილი. აღსანიშნავია გარახის, ნაზოდელავოს, სავეკუოს, ყალიჩონის კლასტოკარსტული მღვიმეები და კარსტული მღვიმე შურუბუმე (მყუდრო ადგილი). მღვიმეები გამოყენებულია ტურისტული თვალისაზრისით.

ჩხოროწყუს ადმინისტრაციული ცენტრია ქ. ჩხოროწყუ რომელსაც ქალაქის სტატუსი 2018 წელს მიენიჭა. მანძილი ქ. თბილისსა და ქ. ჩხოროწყუს შორის 330 კმ-ია. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედის 13 ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეული, რომლებშიც გაერთიანებულია 30 სოფელი.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორია მდიდარია სხვადასხვა სახის სასარგებლო წიაღისეულით. სოფელ მუხურში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი დოლომიტის, კირქვისა და ანდეზიტ-ბაზალტის საბადო. ნიადაგის მოსაკირიანებლად გამოიყენება სოფელ თაიას აგრომადნები, ე.წ. ტკილი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოიპოვება საშენი ინერტული მასალები (ქვიშა, ღორღი, ფლეთილი სამშენებლო ქვა). ლუგელას ხეობაში მდებარეობს „ლუგელას“ მინერალური წყლის გამოსასვლელი ადგილი, მინერალური წყალი გამოიყენება სამკურნალო დანიშნულებით.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2019 წლის 1 იანვრის სტატისტიკით შეადგენს 21,7 ათას კაცს, რაც მთლიანად რეგიონის მოსახლეობის 7%-ია. მათგან ქალაქად მცხოვრებთა რაოდენობა, მუნიციპალიტეტის ფარგლებში, 13%-ია, ხოლო 87% ნაწილდება სასოფლო დასახლებებზე. მოსახლეობის რიცხოვნობა ბოლო 5 წლის მანძილზე (2015-2019წწ.) შემცირდა 3%-ით. კლების ტენდენციით ხასიათდება მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვ.კმ-

ზე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში (3%) და 2019 წლის 1 იანვრის მონაცემებით შეადგინა 35,1 კაც/კვ.კმ-ზე.

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი 15+ ასაკის მოსახლეობაში არის 61%. 2018 წლის მონაცემებით მუნიციპალიტეტში ბიზნეს სუბიექტების წილი რეგიონულ მაჩვენებელთან მიმართებაში 7%-ია და 6%-იანი კლებით ხასიათდება (2015- 2018წწ.). სექტორულ ჭრილში თუ განვიხილავთ, მუნიციპალიტეტში ყველაზე დიდი მოცულობა უკავია საბითუმო და საცალო ვაჭრობას, თუმცა 2015 წლიდან 2018 წლამდე 14%-იანი კლება შეინიშნება. 25%-იანი ზრდით ხასიათდება პროფესიული, სამეცნიერო, ტექნიკური საქმიანობები და მუნიციპალიტეტზე მთლიანი რეგიონის მაჩვენებლის 7% მოდის.

2.2 მუნიციპალიტეტის ეკონომიკა

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებასა და გადამამუშავებაზე, თუმცა ადგილობრივი არასასოფლო-სამეურნეო ბიზნესის განვითარებაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, როგორც ფისკალური, ისე სოციალური თვალსაზრისით.

სოფლის მეურნეობა - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი აგრარულ რაიონს წარმოადგენს. სოფლის მეურნეობა მუნიციპალიტეტის ეკონომიკის წამყვანი დარგია. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში დანერგილი სიახლეები ხელს უწყობს პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციას. მუნიციპალიტეტის მაღალ სასოფლო-სამეურნეო პოტენციალს განაპირობებს ისეთი ფაქტორები როგორცაა - ხელსაყრელი კლიმატი, ჯანსაღი ეკოლოგიურად სუფთა გარემო, სარწყავ სისტემებზე ხელმისაწვდომობა, ნოყიერი ნიადაგი და პროდუქციის წარმოების მრავალწლოვანი ტრადიცია, რაც მუნიციპალიტეტში წარმოებულ პროდუქტს უნიკალურს ხდის.

მუნიციპალიტეტში მოსახლეობის ძირითადი ნაწილი დასაქმებულია სოფლის მეურნეობის სფეროში. მუნიციპალიტეტის ნიადაგი განსაკუთრებულ პირობებს იძლევა თხილის კულტურის ხარისხიანი მოსავლისათვის. ასევე მისდევენ სიმინდისა და სხვადასხვა მარცვლოვანი კულტურების მოყვანას, ეწევიან მესაქონლეობასა და მეფუტკრეობას.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მეცხოველეობის განვითარების ცენტრი, რომელიც ჯიშობრივი გადახალისების გზით ცდილობს მაღალპროდუქტიული პირუტყვის რაოდენობის გაზრდას.

მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი უნიკალური ადგილია საქართველოში, სადაც, სოფელ მუხურის ტერიტორიაზე შექმნილი მიკროკლიმატის გამო ქართული რუხი ფუტკრის მეგრული პოპულაცია საუკეთესო თვისებებს ავლენს, აქ გამოყვანილი დედა ფუტკრის მიერ წარმოებული ფუტკარი ხასიათდება მსოფლიოში ყველაზე გრძელი ხორთუმით (7,2მმ) რაც განაპირობებს მის მაღალ შრომისნაყოფიერებას დალიანობისათვის შეუსაბამო პირობებშიც კი, საბჭოთა პერიოდში აქ არსებული მეფუტკრეობის სადედე მეურნეობა ათასობით დედა

ფუტკარს აწარმოებდა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში უკეთებდა რეალიზაციას. 2017 წელს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევის ცენტრის მიერ სოფელ მუხურში 1 100 000 ლარის ინფრასტრუქტურული სამუშაოები განხორციელდა და აღდგენილია მეფუტკრეობის ცენტრი, რომლის ბაზაზეც ხორციელდება ქართული რუხი ფუტკრის (მეგრული პოპულაციის) მოვლა/მოშენება 10-50 ოჯახამდე. მუნიციპალიტეტში მთლიანად დაახლოებით 5 500 ფუტკრის ოჯახია.

მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს 15,594 ჰექტარი უკავია, აქედან 3,882 ჰექტარი სახნავი მიწებია, 6,074 ჰექტარზე მრავალწლოვანი ნარგავებია გაშენებული, 5,638 ჰექტარი საძოვარი მიწებია.

მრავალწლიანი ფართობები შემდეგნაირადაა განაწილებული: ჩაი - 2,697 ჰექტარი, ტუნგო 745 ჰექტარი, კაკლოვანი კულტურები 2,020 ჰექტარი, ვენახი 206 ჰექტარი, ხეხილი და სუბტროპიკული კულტურები 390, ციტრუსი 16 ჰა.

მნიშვნელოვანი ფართობები (მრავალწლიანი ფართობების 54%) უჭირავს ჩაის და ტუნგოს, თუმცა მათი რესურსების მხოლოდ მცირე ნაწილი გამოიყენება.

სახნავი ფართობების 97% (3,680 ჰა) გამოყენებულია სიმინდის წარმოებისათვის. 2019 წლის მონაცემებით მუნიციპალიტეტში წარმოებული იქნა 12,760 ტონა სიმინდი, 360 ტონა კარტოფილი, 1,763 ტონა ბალჩულ ბოსტნეული და 55 ტონა პარკოსნები.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ნიადაგი განსაკუთრებული პირობებს იძლევა როგორც სიმინდის წარმოების განვითარებისათვის, ასევე სხვადასხვა მარცვლოვანი კულტურების მოსაყვანად. სახნავი ფართობების გარკვეული რაოდენობა საჭიროებს გასარწყავიანებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მოსავლიანობის გაზრდას.

მუნიციპალიტეტში არსებული ჩაის რესურსის სრულად გამოყენება არ ხდება შესაბამისი ინფრასტრუქტურის არ არსებობის გამო, არსებობს მხოლოდ რამდენიმე ჩაის გადამამუშავებელი საწარმო, რომელიც სრულად ვერ ითვისებს არსებულ ნედლეულს, შესაბამისად ფართობების დიდი ნაწილი დეგრადირებულია, ასევე მუნიციპალიტეტში შემორჩენილია ტუნგოს ნარგავები საბჭოთა პერიოდიდან, რამოდენიმე წარუმატებელი ცდის მიუხედავად, დღეისათვის მისი გამოყენება არ ხდება, ამ კულტურის ქვეშ დატვირთული ფართობი (745 ჰა) სახნავი და მრავალწლიანი სავარგულების 7%-ს შეადგენს, შესაბამისად გაცდენილი ფართობები ამცირებს მოსავლიანობას და ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლებს.

მუნიციპალიტეტში გარკვეულწილად ამცირებს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობას სახნავი ფართობების სარწყავი სისტემის არქონა. ასევე აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის ცოდნის არასაკმარისი დონე თითქმის ყველა დარგში იწვევს მნიშვნელოვანი აგროტექნიკური ღონისძიებების უგულებელყოფას მათი მხრიდან, რაც უარყოფითად აისახება დარგის რენტაბელობაზე და ხშირ შემთხვევებში

მიღებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი დანახარჯების ტოლფასია.

დარგში არსებული გამოწვევებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხებია: მიწის საკადასტრო მონაცემების განახლება და კატეგორიზაცია მნიშვნელობის მიხედვით, ნიადაგის ტიპის და პერსპექტიული დარგის შესაბამისად მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ჩაის და ტუნგოს ფართობები იქნას შესწავლილი ნარგავების ვარგისიანობის და დარგის სტრატეგიული მნიშვნელობის მიხედვით, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება მუნიციპალიტეტმა შეადგინოს და განახორციელოს სოფლის განვითარების მრავალწლიანი სტრატეგიული გეგმა, სადაც გათვალისწინებული იქნება თითოეული ნაკვეთისათვის ოპტიმალური მიმართულება, რომელიც ორიენტირებული იქნება მრავალწლიან შედეგზე.

აუცილებელია მუხურის (ლეუკუნეს) ზონის იზოლირება მეფუტკრეობის თვალსაზრისით და იქ სადედე სანაშენე მეურნეობის შექმნის ხელშეწყობა, რაც მუნიციპალიტეტისა და მთლიანად ქვეყნისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო შეიძლება გახდეს, ამავდროულად მსოფლიო მასშტაბით გაიზრდება ქართული რუხი ფუტკრის პოლულარობა და ადგილობრივ მეფუტკრეობის პროდუქტზე მოთხოვნა. აღნიშნული ხელს შეუწყობს ბიო თაფლის მოპოვებას.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ხელს შეუწყობს სრული აგროტექნიკური ღონისძიებების წარმართვას მიწათმოქმედებაში.

სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის სტიმულირება სერიოზული წინსვლა იქნება მუნიციპალიტეტისათვის. იგი ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას (მემინდვრეობა-მეცხოველეობა-მეღორეობა-მეფრინველეობა), რაც საბოლოო ჯამში შეამცირებს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას და გაზრდის რაოდენობას.

მრეწველობა და გადამამუშავებელი მეურნეობა - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ეკონომიკის წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა, ამასთან განვითარების კარგი პერსპექტივა გააჩნია გადამამუშავებელი საწარმოების მიმართულებას. დღევანდელ პერიოდში ყველაზე მეტად განვითარებულია თხილის წარმოება და შესაბამისად საჭიროა შეიქმნას მისი გადამამუშავებელი საწარმო ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისთვის. ასევე ფუნქციონირებს ტუნგოს ზეთის წარმოება. 2019 წელს აწარმოე საქართველოს ფარგლებში შეიქმნა დაფნის გადამამუშავებელი საწარმო.

ზოგადი ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით მუნიციპალიტეტში ბოლო წლების განმავლობაში ეკონომიკის ძირითადი მონაცემები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

მუნიციპალიტეტის მცენარეული საფარის უნიკალურობა განპირობებულია ენდემური სახეობების ფართე გავრცელებით. სუბალპურ ზონაში ყველაზე მაღლა ვრცელდება მეგრული არყი, რომელიც „ცაშკიბულიშ ტობავარჩხილის“ მისადგომებთან და მიგარის მასივის უმაღლეს წერტილებში გვხვდება. ხობისწყლის ხეობაში დიდი რაოდენობით არის

წარმოდგენილი კოლხური ყოჩივარდა, რომელიც ასევე ენდემური სახეობის მცენარეა. (მეგრული არყისა და კოლხური ყოჩივარდისადმი დიდ ინტერესს იჩენენ ამერიკული და ინგლისელი მეცნიერები). მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს უნიკალური სამკურნალო მინერალური წყლის „ლუგელას“ საბადო. ანალოგიური ქიმიური შემადგენლობის მქონე ბუნებრივი მედიკამენტი სხვაგან არსად მოიპოვება, იგი თვითონ ქმნის მინერალური წყლის ტიპს და ჰიდროქიმიურ ლიტერატურაში ლუგელის ტიპის წყლით არის ცნობილი.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორია მდიდარია სხვადასხვა სახის სასარგებლო წიაღისეულით, შესაბამისად ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში შესაძლებელია განვითარდეს მრეწველობის შემდეგი დარგები: აგურის წარმოება სოფ. ახუთსა და ქვედაჩხოროწყუში. კირის წარმოება სოფ. მუხურში (ქოყოს უბანი), ანდეზიტის ქვის წარმოება–დამუშავება ლუგელას ხეობაში, რომელიც გამოირჩევა ზღვის წყლის მიმართ მდგრადობით, გამოიყენება ზღვის სანაპიროს გასამაგრებლად, ცემენტის წარმოება სოფ. თაიაში, დოლომიტის მოპოვება და დამუშავება სოფ. ნაფიჩხოვოში (ხურუს უბანი), თევზის სატბორე მეურნეობის განვითარება სოფ. კირცხში /55–60 ჰა–ზე), ასევე მუხურის ტერიტორიაზე 11 ჰა–ზე. ჩაის მზა პროდუქციის წარმოება.

ტურიზმი და მომსახურების სფერო. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს მაღალი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გვხვდება კონგლომერატები, მთიან ზონაში - კირქვები და ვულკანური წარმოშობის ქანები. კონგლომერატებში ფორმირებულია ხუთი უნიკალური მღვიმე, რომლებსაც დიდი მეცნიერული ღირებულება აქვს, როგორც ნგრეულ ქანებში წარმოქმნილ მღვიმეებს. მთიან ნაწილში წარმოდგენილია მყინვარული წარმოშობის უნიკალური ტბები - ცაშკიბული, ტობავარჩხილი, დიდღელეს ტბა, წაყაწყარი. მყინვარის მიერ დამუშავებული მდ. ხობისწყლის კანიონი დღემდე არ არის შესწავლილი. მიგარის კირქვულ მასივის წიაღში ფორმირებულია უამრავი მღვიმე, ერთ-ერთი მათგანი - ფოთოლცვენის მღვიმე კავასიის უდიდეს მღვიმეთა ნუსხაშია შეტანილი (გამოკვლეული ნაწილის სიგრძე 2,5 კმ, სიღრმე 340 მეტრი). მუნიციპალიტეტში ასევე არის უნიკალური შურუბუმუს მღვიმე მიწისქვეშა მდინარე „დეიმახით“ და ერატირებული ლოდებით (ლოდის წონა 150 ტონა).

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფ. მუხურში დამსვენებელთა რაოდენობა 8–10,000–მდე ადამიანს აღემატება, ძირითადად მყინვარული წარმოშობის ტბები: „ტობავარჩხილი“, „ცაშკიბული“ „შურუბუმუს მღვიმე“, ლუგელას ხეობა.

ოცინდალეს წმინდა გიორგის ეკლესია მე–11–მე–12 საუკუნეშია აშენებული, დგას ჩხოროწყუს რაიონში, სამეგრელოს ქედის სამხრეთ კალთაზე. იგი აგებულია მაღალ ადგილას და საკმაოდ დაშორებული სოფლებიდანაც მოჩანს. ეკლესიას ეტყობოდა მინაშენის კვალი, რომელსაც 2019 წელს რესტავრაცია ჩაუტარდა და ამჟამად პირვანდელი სახითაა წარმოდგენილი.

ასევე „ოცინდალეს“ წმინდა გიორგის სახელობის მონასტრიდან იშლება უნიკალური ხედი, რომელიც მოიცავს აფხაზეთის, სამეგრელოს, იმერეთისა და გურიის ტერიტორიებს, რასაც დამთვალიერებლები ალტაცებაში მოყავს. ულამაზესი სანახავია მდინარეების „გვალაშარასა“ და „ლუნჯის“ ჩანჩქერები. 2018 – 2019 წლების მონაცემებით ტურისტთა რაოდენობა 3600 – 4000 –მდე იყო.

ტურიზმის სექტორის განვითარების ხელსეწყობისათვის აუცილებელია საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. ტურისტებისათვის მოსასვენებელი კოტეჯების განთავსება. 2019 წელს მუნიციპალიტეტში 4 სასტუმროს მშენებლობაზე გაიცა ნებართვა, რომელთა ჯამური ღირებულება დაახლოებით 5 000 000 ლარს აჭარბებს.

2.3 მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დღეის მდგომარეობით 13-ივე ადმინისტრაციული ერთეული ქალაქ ჩხოროწყუსთან დაკავშირებულია ასფალტის საფარიანი გზებით. დარჩენილია სოფლების შიდა საუბნო გზები.

სატრანსპორტო და კომუნალური ინფრასტრუქტურა. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გადაადგილებისა და ტვირთების გადატანის ერთადერთ საშუალებას საავტომობილო ტრანსპორტი წარმოადგენს. მუნიციპალიტეტში სატრანსპორტო საშუალებები ძირითადად წარმოდგენილია მუნიციპალური და კერძო სატრანსპორტო ორგანიზაციების მფლობელობაში არსებული ავტობუსებისა და სამარშრუტო ტაქსების სახით. ძირითადი მგზავრთნაკადები და ტვირთნაკადებია ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი–თბილისი, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი–ქუთაისი, ჩხოროწყუ-ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლები და თემები. ნაკადები სეზონური ხასიათისაა და ზამთრის პერიოდში დაბალი ინტენსივობით ხასიათდება. მუნიციპალიტეტის ცენტრს სოფლად მცხოვრები მოსახლეობა ძირითადად ბაზრობის დღეებში სტუმრობს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამგზავრო გადაყვანებს უზრუნველყოფს კერძო კომპანია შ.პ.ს. „ნიკა“. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამგზავრო გადაყვანას ასევე უზრუნველყოფენ კერძო პირები. ამ დროისათვის არსებობს 33 მარშრუტი. მგზავრთა გადაზიდვას უზრუნველყოფს ტიპის მარკის ავტობუსი, 13 MERCEDES-ის ტიპის და 20 FORD-ის მარკის მიკრო ავტობუსი. საჭიროა რამოდენიმე მუნიციპალური ავტობუსების არსებობა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოწყობილია სანიაღვრე სისტემის საჭირო რაოდენობის მხოლოდ 70%. სანიაღვრე სისტემების საერთო სიგრძე 15 კმ-ს შეადგენს. აქედან რეაბლიტაციას ან განახლებას 2 კმ. სიგრძის მონაკვეთი საჭიროებს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგვა დასუფთავება და ნაგვის გატანა ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებით ხორციელდება. მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს ნაგავსაყრელი, ნარჩენების გატანა ხდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში. წლის განმავლობაში წარმოქმნილი ნარჩენების მთლიანი მოცულობაა 4,5 მ³.

მუნიციპალიტეტის ცენტრში არის 4 დასასვენებელი პარკი საერთო ფართობით 1,6 ჰა., ხოლო სოფლების ჩათვლით 6 სკვერი საერთო ფართობით 0,55 ჰა. მუნიციპალიტეტში არსებული ნაპირსამაგრი ჯებირების რაოდენობა შეადგენს 90,000 მ/3-ს.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წყალმომარაგება ხდება როგორც ცენტრალური წყალგაყვანილობით, ისე ინდივიდუალური მოპოვების გზით (ქები, ბუნებრივი წყაროს წყლები), მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების ცენტრალური მაგისტრალისა და შიდა ქსელის საერთო სიგრძე 118 კმ-ს შეადგენს, რომელიც 2010–2019 წლებში რეაბილიტირებული ან ახლად მოწყობილია. წყლის ხარისხი არსებითად შეესაბამება დადგენილი სტანდარტის მოთხოვნებს. რთული რელიეფიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სისტემა რეგულარულ რეაბილიტაციას საჭიროებს.

წყალმომარაგება არ არის საკმარისი მოსახლეობისათვის და საჭიროა განხორციელდეს წყალმომარაგების ქსელის მშენებლობა 7 სოფელში. ამისათვის მნიშვნელოვანია მდინარე გვალაშარას გამოყენება და შესაბამისი პროექტის განხორციელება, რითაც მთლიანად მუნიციპალიტეტში მოიხსნება სასმელი წყლის პრობლემა. საკანალიზაციო სისტემა მხოლოდ ქალაქის მცირედ ნაწილშია, რომელიც ამორტიზებული და საგანგაშო მდგომარეობაშია.

მუნიციპალიტეტი მთლიანად ელექტროფიცირებულია. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის გამრიცხველიანების მდგომარეობა დასრულებულია, დაბალი ძაბვის ხაზები ცალკეულ ადგილებში მოითხოვს განახლებას. სოფელ მუხურში ლუგელას ხეობაში მიმდინარეობს ჰესი „ხობი 2“ -ის მშენებლობა, რომლის სიმძლავრე 41,5 მეგავატს გამოიმუშავებს და დაიხარჯება 70 000 დოლარზე მეტი. მუნიციპალიტეტში არ არსებობდა ბუნებრივი გაზმომარაგების სისტემა. 2019 წელს განხორციელდა ქალაქ ჩხოროწყუს გაზიფიცირება და გაზიფიცირებისათვის საჭირო მკვებავი მაგისტრალის მიწყობა. 2020-2021 წლებში უნდა დასრულდეს მუნიციპალიტეტის 8 ადმინისტრაციული ერთეულის გაზიფიცირების საპროექტო დოკუმენტაციების მომზადება და დაქსელვითი სამუშაოები.

ტურისტული და გასართობი ინფრასტრუქტურა. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში დაბის ცენტრალურ ნაწილში მდებარე დასვენების პარკს ჩაუტარდა რეაბილიტაცია.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების კუთხით საჭიროა აშენდეს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი, დასასვენებელი და გასართობი ობიექტები. საჭიროა მოგვარდეს ტრანსპორტის საკითხი. ამჟამად ერთდროულად მიმდინარეობს 4 სასტუმროს მშენებლობა, 1 ქ. ჩხოროწყუში და 3 სოფელ მუხურში.

2.4 ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და მუნიციპალური ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამები, ერთობლიობაში ქმნიან ჯანსაღ გარემოს, რომელიც ორიენტირებულია ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ძალზე მაღალია სიღარიბის მაჩვენებლები. ღარიბ მოსახლეობას შორის ყველაზე მეტია 40–60 წლებისა და 70 წელს ზევით ასაკობრივი ჯგუფის

წილი. ამ უკანასკნელთა რაოდენობა მნიშვნელოვნად აჭარბებს იმ შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობას, რომელიც საარსებო შემწეობას იღებს. 2015 წელს სოციალურ დახმარებას იღებს 900 ოჯახი. მუნიციპალიტეტში 57 მრავალშვილიანი ოჯახია, 210 - ომის მონაწილე - ვეტერანი. აქედან სამამულო ომის მონაწილეა 3, ავღანეთის ომის მონაწილე – 37, ხოლო 170 საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ომის ვეტერანი.

ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში მოქმედებს ერთი საავადმყოფო მუნიციპალიტეტს ამჟამად ემსახურება ორი სასწრაფო დახმარების სამედიცინო ბრიგადა. მუნიციპალიტეტში ასევე ფუნქციონირებს 5 კერძო სტომატოლოგიური კლინიკა. ამასთან, მუნიციპალიტეტში მოქმედი ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულება განიცდის მაღალკვალიფიციური კადრების უკმარისობას, რაც იწვევს ადგილობრივი მოსახლეობის სამკურნალოდ გასვლას ქვეყნის სხვადასხვა კლინიკაში. აქტუალურია სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების ფინანსური ხელმისაწვდომობის პრობლემა.

მიმდინარე წელს დაიწყო და 2020-ში დასრულდება ქალაქ ჩხოროწყუში გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამ ბრიგადიანი ცენტრის მშენებლობა. ასევე მუნიციპალიტეტის 5 სოფელში სრულდება სოფლის საექიმო ამბულატორიების მშენებლობა.

სოციალური მომსახურება. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე წლის ოქტომბრის თვის მონაცემებით საპენსიო ასაკით გათვალისწინებულ პენსიას 5171 პირი იღებს.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში პენსიონერთა რაოდენობაა 5,206 ანუ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 14,223,5%-ია. ეს მონაცემი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გაზრდილია 86 ერთეულით. სოციალური პაკეტის მიმღები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობა შეადგენს 931-ს, ხოლო მარჩენალდაკარგულთა რაოდენობა - 231-ს. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობა გაზრდილია 597 პირით, ხოლო მარჩენალდაკარგულთა რაოდენობა შემცირებულია 19 ერთეულით. დევილთა შემწეობა შეადგენს 1,773 პირს.

ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის კვების ვაუჩერის ქვეპროგრამით სარგებლობს 2, შშმ ბავშვთა დღის ცენტრით - 17, მცირე საოჯახო ტიპის სახლებით - 7, ბავშვთა რეაბილიტაციით - 3, ბავშვთა ადრეული განვითარებით - 8, ხოლო დამხმარე საშუალებების ქვეპროგრამით - 2 ბენეფიციარი, რაც არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე ძალიან ცოტაა და მომავალში აუცილებლობას წარმოადგენს შესწავლილ იქნას სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების ინდივიდუალური საჭიროებები.

2.5 განათლება, კულტურა და სპორტი

მუნიციპალიტეტში ხელმისაწვდომია მოსახლეობისთვის როგორც საშუალო ასევე სკოლამდელი განათლების დაწესებულებები. განათლების ინფრასტრუქტურა შედარებით

კარგ მდგომარეობაშია, თუმცა საჭიროა სკოლამდელი საბავშვო ბაღების სრულად კეთილმოწყობა და დამატებით ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა, ქ.ჩხოროწყუმში; სოფ ახუთსა და ლესიჭინეში.

განათლებაზე ხელმისაწვდომობა. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში დღეის მდგომარეობით ფუნქციონირებს 33 საბავშვო ბაღი. 2019 წელს 15 საბავშვო ბაღს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები. მუნიციპალიტეტში 19 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა/სკოლაა. 2019 წელს მუნიციპალიტეტის 7 სკოლას ნაწილობრივ ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები.

კულტურისა და სპორტის სრვისები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის 13 კულტურის სახლი, მათ შორის 7 სოფელში ფუნქციონირებს, ხოლო დანარჩენ 6 სოფელში კი არ ფუნქციონირებს. სპორტული ობიექტები ქ. ჩხოროწყუმში არის სულ 6, ორი დიდი და 4 პატარა. აქედან 3 ფეხბურთის მოედანს უნდა ჩაუტარდეს რეაბილიტაცია. სოფ. ახუთში არის სულ 4 ფეხბურთის მოედანი, ორი დიდი, 1 პატარა. 3 უნდა ჩაუტარდეს რეაბილიტაცია. სოფ. მუხურში არის 3 მოედანი, სამივე არის სარეაბილიტაციო. სოფ. კირცხში არის 2 ფეხბურთის მოედანი, 1 არის სარეაბილიტაციო. სოფ. ლესიჭინეში 6 ფეხბურთის მოედანი, რეაბილიტაცია უნდა ჩაუტარდეს 4 მოედანს. სოფ. ლეწურწყუმში არის 5 სპორტული მოედანი, აქედან 3 არის სარეაბილიტაციო. სოფ. ნაკიანში 1 სპორტული მოედანი, სარეაბილიტაციოა, სოფ. ნაფიჩხოვოში არის 3 მოედანი , 2 არის სარეაბილიტაციო. სოფ. ქვედაჩხოროწყუმში არის 6 ფეხბურთის მოედანი 5 მოედანს უნდა ჩაუტარდეს რეაბილიტაცია. სოფ. ჭოდაში სულ არის 7 ფეხბურთის მოედანი, 4 არის სარეაბილიტაციო. სოფ. ზუმში არის 6 მოედანი, 3 უნდა ჩაუტარდეს რეაბილიტაცია, სოფ. ხაბუმეში 6 მოედანი 4 ესაჭიროება რეაბილიტაცია. მუნიციპალიტეტში აუცილებელია ჩოგბურთის კორტისათვის სავარჯიშო კედლისა და აგრეთვე ქუჩის ტრენაჟორების გაკეთება.

2.6 გარემოს დაცვა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ჩამოედინება ორი მდინარე ხობისწყალი და ოჩხომური, მათ აქვთ მრავალი პატარა შენაკადები. კოკისპირული წვიმების დროს ხდება მათი ადიდება, ისინი გადმოლახავენ ნაპირებს და წალეკვით ემუქრებიან სანაპირო ადგილებში სავარგულებსა და ახლო-მახლო მცხოვრებ ოჯახებს, ასევე აზიანებენ ხიდ-ბოგირებსა და ნაპირსამაგრ ნაგებობებს. ყოველწლიურად სოფლის მხარდაჭერის პროგრამითა და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი თანხებით ხორციელდება ნაპირსამაგრი სამუშაოები, რამდენიმე ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნულის მიუხედავად გადაუდებელი აუცილებლობა მოითხოვს სტიქიის რისკის ასაცილებლად ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობას მდ. ხობისწყლის სანაპიროზე, აგრეთვე მდ. ოჩხომურის სანაპიროებზე.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი მეწყერსაშიში რისკიანობის ზონას განეკუთვნება. ეს პრობლემა განსაკუთრებით აწუხებთ კირცხს, ლეწურწყუმს, ახუთს, გარახას, თიასს, ქვედაჩხოროწყუსა და ჭოდას. სულ დამეწყერილი ოჯახების რაოდენობა შეადგენს 180-ზე მეტს. აქედან პირველ კატეგორიას ანუ უპირობო მოსახლეობას ექვემდებარება 51 ოჯახი. სტიქია, მეწყერი, წყალდიდობა და ღვარცოფი აზიანებს საგზაო ინფრასტრუქტურას.

მუნიციპალიტეტში ტყის ფართობი შეადგენს 30 000 ჰა-ს, სადაც ნაწილს ტყეკაფის სტატუსი აქვს მინიჭებული, ნაწილი კი სუბალპური ტყეების კატეგორიას მიეკუთვნება. 370 ჰა-ზე კოლხური ბზის ტყეებია განვითარებული, რომელიც დღეს გადაშენების საფრთხის ქვეშაა დაავადების გამო.

მუნიციპალიტეტში ზედაპირული წყალი ძირითადად გამოიყენება ცენტრალიზებული წყალმომარაგებისთვის. წყალმომარაგების სისტემის საერთო მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს საშუალოდ. სისტემიდან წყლის დიდ დანაკარგს ადგილი არა აქვს. დიდ დასახლებებში არის საკანალიზაციო კოლექტორი, მაგრამ არ არის წყალგამწმენდი ნაგებობა და ჩამდინარე წყლები გაუწმენდავად ჩადის მდინარეში.

მუნიციპალიტეტის ნარჩენების გატანასა და განთავსებას ახორციელებს აა(ი)პ ჩხოროწყუს დასუფთავებისა და კეთილმოწყობის ცენტრი, რომელიც ემსახურება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 55% . ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს არ გააჩნია საკუთარი ნაგავსაყრელი, რის გამოც მისი გატანა ხდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ცაისში არსებულ ნაგავსაყრელზე, რომლის წლიური მოცულობა შეადგენს 5600 მ³. ერთ სულ მოსახლეზე წარმოქმნილი ნარჩენის რაოდენობა შეადგენს 0.96 მ³. ტერიტორიაზე შეიმჩნევა სტიქიურად წარმოქმნილი პატარა ნაგავსაყრელები.

მუნიციპალიტეტს აქვს დასუფთავების 100% კონტეინერული სისტემა. კონტეინერების საერთო რაოდენობა შეადგენს 225 ერთეულს, საიდანაც 125 რკინის კონტეინერია, ხოლო 100 პლასტმასის. მუშაობს 2 ნაგავშიდი მანქანა, რომელიც თვითმცლელია. არ არის სპეც-ავტომეურნეობის სამრეცხაო, რაც წარმოადგენს გარემოს დაბინძურების რისკს.

აღსანიშნავია რომ მუნიციპალიტეტში ორი სპეც-ავტომანქანა დაემატა, ასევე ველოდებით 80 ლითონი კონტეინერი.

იმის გამო რომ საკანალიზაციო სისტემა მოუწესრიგებელია და არ არის მუნიციპალიტეტში გამწმენდი ნაგებობა, მდინარეები ხობისწყალი და ოჩხომური ბინძურდება საყოფაცხოვრებო ნახმარი წყლებით. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში გასულ წლებში ჩატარდა გარკვეული რაოდენობის ნაპირსამაგრი ჯებირების მოწყობა 45,000 მ/კუბის ოდენობით.

2.7 მუნიციპალური სერვისები და მმართველობა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს ჰყავს პირდაპირი წესით არჩეული ადმინისტრულუბელი ორგანოს ხელმძღვანელი - მერი და 28 წევრისაგან შემდგარი წარმომადგენლობითი ორგანო - საკრებულო. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში არის მერიის 10 სამსახური და საკრებულოს 5 კომისია.

მუნიციპალიტეტში ხელმისაწვდომი სახელმწიფო სერვისები: სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, სახანძრო-სამაშველო სამსახური, სანოტარო სამსახური, ჯანდაცვის პროგრამები.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსავლები გათვალისწინებულია 8 677,4 ათასი ლარის ოდენობით, საიდანაც თითქმის 77% არის საკუთარი შემოსავლები, თუმცა წლის განმავლობაში მოსალოდნელია სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების დამატებით გამოყოფა. 2020 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 9 127,4 ათას ლარს, საიდანაც ამ ეტაპზე ბიუჯეტის 33% არის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციაზე, რადგან მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის ფინანსები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რაც ამ ეტაპზე არ არის ასახული ბიუჯეტში და წლის განმავლობაში დაემატება. ამ ეტაპზე, დასუფთავებისა და გარემოს დაცვის ღონისძიებებზე ძირითადად მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებიდან მოდის 2020 წლის ბიუჯეტის 4%, განათლებაზე - 15%, კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის მიმართულებით -10%, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფის კუთხით - 9% (მოიცავს მეტწილად მუნიციპალიტეტის საკუთარი ბიუჯეტიდან გამოყოფილ დაფინანსებას).

3. SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • მძლავრი ენერგეტიკული სიმძლავრეები და განახლებადი ენერჯის წყაროები. ელექტროენერჯის მომარაგებით მოსახლეობის სრული უზრუნველყოფა; • წარმოების, მრეწველობის, გადამამუშავებელი მრეწველობის, კვების წარმოების, მცირე და საშუალო საწარმოების მუშაობის დიდი გამოცდილება; • ხელსაყრელი გარემო ბიზნესისა და ინვესტიციებისთვის; • სუფთა გარემო და ბიომეურნეობის განვითარების პოტენციალი; • მეცხოველეობის განვითარების პოტენციალი; • ქართული რუხი ფუტკრის სანაშენე წარმოების უნიკალური რესურსი; • მუნიციპალიტეტის ნიადაგების მაღალი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალი; • ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები სოფლის მეურნეობის განსავითარებლად და მრავაფეროვანი პროდუქციის მისაღებად; • სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ტრადიციები (მათ შორის მეჩაიეობის მნიშვნელოვანი რესურსი); • მუნიციპალიტეტის მაღალი ტურისტული პოტენციალი; • მდინარე ხობისწყლის ხეობის ღირსშესანიშნაობები: (მღვიმეები, ერატიული ლოდები, „ტობავარჩხილის“ სახელწოდების ტბები, საჯომარდო, საკანიონინგო და საპიკნიკე ადგილები.); • კულტურული და ისტორიული მონუმენტები და ულამაზესი ხედები; • მუნიციპალიტეტში საავტომობილო გზების მნიშვნელოვანი ნაწილის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა; • გარე განათებით დასახლებების დიდი ნაწილის უზრუნველყოფა. • მუნიციპალიტეტის სრული დაფარვა მობილური სატელეფონო კავშირგაბმულობის ქსელით; • მუნიციპალიტეტში თანამედროვე სტანდარტების საავადმყოფოს არსებობა; • შემოქმედებითი, ხალხური რეწვა, კუთხური ხალხური მთქმელები და ფოლკლორული ანსამბლები; • მუნიციპალიტეტში კვალიფიციური კადრების არსებობა; • მოტივირებული ახალგაზრდობა; 	<ul style="list-style-type: none"> • არსებული ბუნებრივი რესურსების მწირი გამოყენება. • მრეწველობის სექტორის განვითარების არადამაკოფილებელი დონე. • მოსახლეობის და ადგილობრივი ბიუჯეტების მწირი შემოსავლები, • ადგილობრივი კერძო დანაზოგებისა და ინვესტიციების დაბალი დონე • უმუშევრობის მაღალი დონე, კვალიფიციური კადრების გადინება. • ბიზნესისა და ტექნოლოგიური განვითარების მხარდამჭერი ორგანიზაციების ნაკლებობა. • ჩაის და ტუნგოს ფართობების აუთვისებლობა; • არასათანადო ხელშეწყობა მეფუტკრეობის განვითარებისათვის. • მეწყერული და ეროზიული მოვლენები • აგრარული გადამამუშავებელი საწარმოების სიმცირე • ფერმერების აგრარული ცოდნის დაბალი დონე; • სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის დაბალი დონე. • სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დაბალპროდუქტიულობა, დისპროპორცია დასაქმებულთა რაოდენობასა და პროდუქციის მოცულობას შორის. • სასტუმროების არარსებობა ტურისტებისთვის „ტობავარჩხილი“-ს ტბის მიდამოებში. • ტურიზმის, როგორც ბიზნესის საქმიანობის არასაკმარისი ცოდნა. • უცხოელი ტურისტების მოზიდვისადმი არასისტემური მიდგომა. • ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმართაობა. • შესაბამისი მომსახურებისა და კადრების არადამაკმაყოფილებელი დონე. • მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის არასაკმარისი ცნობადობა და პოპულარიზაცია; • საზოგადოებრივი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა; • დასახლებების დიდ ნაწილში გარე განათების არარსებობა; • სასმელი წყლით მოსახლეობის არასრული უზრუნველყოფა; • მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის გაზომომარაგების ხელმიუწვდომლობა; • საკანალიზაციო სისტემის გაუმართაობა; • მუნიციპალიტეტში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდ

<ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის მდიდარი ბიომრავალფეროვნება; • ენდემური სახეობის მცენარეების (მეგრული არყი, კოლხური ყოჩივარდა და სხვა) ფართოდ გავრცელება. 	<p>რაოდენობასთან დაკავშირებული სოციალური პრობლემები.</p> <ul style="list-style-type: none"> • ფაქტობრივი უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი და დასაქმების მწირი შესაძლებლობები მოსახლეობისთვის. • მოსახლეობის უზრუნველყოფისათვის სრულყოფილი სამედიცინო მომსახურებაზე და მედიკამენტებზე შეზღუდული ფინანსური ხელმისაწვდომობა; • კადრების გადინება; • კულტურის სახლის ინფრასტრუქტურული გაუმართაობა. • ნარჩენების გადამუშავებისა და კომპაქტირების პრაქტიკის არ არსებობა. • რეკრაციულ ადგილებში ტყეების არადამაკმაყოფილებელი სანიტარული მდგომარეობა. • კლიმატის ცვლილებების მავნე შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებათა გეგმის არარსებობა.
<p>შესაძლებლობები</p>	<p>საფრთხეები</p>
<ul style="list-style-type: none"> • სხვადასხვა სახის აუთვისებელი წიაღისეულის მნიშვნელოვანი მარაგები. • სამშენებლო ინდუსტრიისათვის საჭირო მნიშვნელოვანი რესურსული პოტენციალი. • საკრედიტო დაფინანსების ბაზრის შესაძლებლობების გაფართოება. • პროდუქციის ექსპორტის მოცულობის ზრდა; • შეღავათიან აგროკრედიტებზე ხელმისაწვდომობის ზრდა. • მიწის საკადასტრო მონაცემების განახლება • მიწის ნაყოფიერების მართვის ეფექტური მექანიზმის შექმნა; • მეწყერული და ეროზიული მოვლენების პრევენციის მექანიზმის შემუშავება -დანერგვა; • გადამამუშავებელი საწარმოების და ფერმერთა კოოპერირების პროცესების სტიმულირება; • ფერმერთა უწყვეტი სწავლების სისტემის შექმნა; • სოფლის მეურნეობის სფეროში სადაზღვევო სისტემების ხელმისაწვდომობის ზრდა. • ინვესტიციების მოზიდვა მდინარე ხობისწყლის ხეობაში სამშენებლო პროდუქციის თვალსაზრისით. • ტურისტული პოტენციალის განვითარება. ეკოტურიზმზე მოთხოვნის ზრდა; • სამედიცინო აპარატურის განახლება. • ეკონომიკური ზრდის მაღალი დინამიკა; 	<ul style="list-style-type: none"> • არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა ქვეყანაში. • ეპიზოოტიებისა და მცენარეთა დაავადებების გავრცელება. • საფინანსო ეკონომიკური კრიზისი; • სტიქიური მოვლენები; • ეპიდემიების გავრცელება. • ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება; • დემოგრაფიული ფონის ცვლილება.

<ul style="list-style-type: none">• კულტურის სახლების რემონტი და თანამედროვე აპარატურით უზრუნველყოფა.• სპორტული სექციების თანამედროვე აღჭურვილობით უზრუნველყოფა.• სპორტ-კომპლექსის აშენება;• მდ. ხობისწყლის ხეობის ცალკეული ტერიტორიების დაცულ ტერიტორიად გამოცხადება.	
---	--

4. განხორციელების მექანიზმი

მუნიციპალიტეტის ხელისუფლება დოკუმენტით წარმოდგენილი გეგმებისა და ხედვების განხორციელებისას გაითვალისწინებს შემდეგ პრინციპებს:

- **გამართული კოორდინაცია სხვადასხვა მხარეებთან** - პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების შედეგიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ყველა საჯარო უწყების ეფექტურ კოორდინაციაზე. განსაკუთრებული როლი უჭირავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის კოორდინაციას ცენტრალურ ხელისუფლებასთან. იმისთვის რომ ადგილობრივ დონეზე განხორციელებული პროექტები იყოს ხარჯეფექტიანი მართველობის ორ დონეზე დაგეგმილი ღონისძიებები ერთმანეთს უნდა ავსებდეს, არ ხდებოდეს აქტივობების გამეორება და იყოს მჭიდრო კომუნიკაცია ორივე მხარეს შორის. შესაბამისად, ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მოხდება ცენტრალური ხელისუფლების გეგმებისა და ხედვების გათვალისწინება ადგილობრივი პოლიტიკის დაგეგმვისას, მჭიდრო იქნება ცენტრალურ სახელისუფლებო უწყებებთან კოორდინაცია.

- **პარტნიორობა** - პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებული შედეგების ეფექტურად მიღწევისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს პარტნიორობა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან. პარტნიორობა გათვალისწინებული არის როგორც დოკუმენტის შემუშავების ეტაპზე, ისე მისი განხორციელების ეტაპზე. თითოეულ მხარეს, ეს იქნება თავად ადგილობრივი ხელისუფლება, არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნეს სექტორი თუ სხვა, აქვს საკუთარი როლი და პასუხისმგებლობა ერთიანი მიზნებისა და ამოცანების მიღწევაში. შესაბამისად, პარტნიორობის პრინციპი იქნება ერთ-ერთი ფუძე დოკუმენტში წარმოდგენილი მიზნებისა და ამოცანების მიღწევისთვის აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელებისას.

- **კანონიერების პრინციპი** - ფინანსური სახსრების ხარჯვა მოხდება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ფუნქციები მართველობის სხვადასხვა დონეზე მკაფიოდ იქნება გამიჯნული და გადანაწილებული. ფინანსური პასუხისმგებლობა დაეკისრება აქტივობის დამფინანსებელ ორგანიზაციას.

სამოქმედო გეგმის ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს.

ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავებამდე განხორციელდება არსებულის მონიტორინგი და შეფასება, რაც საფუძველი იქნება მომდევნო 2 წლიანი პერიოდის მეტად ეფექტურად და ხარჯეფექტიანად დასაგეგმად. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება მთლიანი დოკუმენტის შუალედური შეფასების ნაწილს წარმოადგენს.

შედეგად, შესაძლებელია სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანა, თუმცა საჭიროა აღნიშნული ცვლილებების მიზანშეწონილობის დასაბუთება.

მუნიციპალიტეტის ხელისუფლება აქცენტს გააკეთებს მომდევნო პერიოდში ყველა მიზნისა და ამოცანის მოცვაზე, და ამისთვის აქტიურად იმუშავებს დამატებითი ფონდების მოძიების თუ საკუთარი ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფის კუთხით.

სამოქმედო გეგმა 2020-2021 წლები

მიზანი 1:		მოსახლეობის საცხოვრებელი და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება	მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:					6,9				
ამოცანა 1.1		საკომუნიკაციო და სხვა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება										
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1	გაუმჯობესებულია ინფრასტრუქტურული მდგომარეობა; გაზრდილია გადაადგილების უსაფრთხოება და შემცირებულია ტრანსპორტირებისთვის საჭირო ხარჯები		საბაზისო	სამიზნე			დადასტურების წყარო					
		წელი	2020	შუალედური	საბოლოო	2022	2023					
აქტივობა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ვადა	ბიუჯეტი [ლ]	დაფინანსების წყარო					
							მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	სხვა		დეფიციტი		
							ოდენობა [ლ]	კოდი	ოდენობა [ლ]		ორგანიზაცია	
1.1.1	სოფ. ახლეთში(მეორე ახლეთი) გზის ასფალტობეტონის საფარის დაგება	გამარტივებულია გადაადგილება, შემცირებულია სატრანსპორტო ხარჯები და გაზრდილია უსაფრთხოება		მუნიციპალიტეტის მერია	რეგიონალური განვითარების სამინისტრო	2020-2021	2500000					
1.1.2	სოფ.ხაბუმეში(ეწერის უბანი) გზის ასფალტობეტონის გზის საფარის დაგება	გამარტივებულია გადაადგილება, შემცირებულია სატრანსპორტო ხარჯები და გაზრდილია უსაფრთხოება		მუნიციპალიტეტის მერია	რეგიონალური განვითარების სამინისტრო	2020-2021	2100000					

1. 1. 3	ქ. ჩხოროწყუში მრავალსართულიანი სახლების ფასადების რეაბილიტაცია	გაუმჯობესებულია მუნიციპალიტეტის იერსახე და საცხოვრებელი გარემო	მუნიციპალიტეტის მერია	რეგიონალური განვითარების სამინისტრო	2020	240 000					
1. 1. 4	სოფ. ნაფიჩხოვოში (ხანწკის უბანი) გზის ასფალტო-ბეტონის საფარის დაგება.	გამარტივებულია გადაადგილება, შემცირებულია სატრანსპორტო ხარჯები და გაზრდილია უსაფრთხოება	მუნიციპალიტეტის მერია	რეგიონალური განვითარების სამინისტრო	2020-2021	1027000					
1. 1. 5	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ლედ. სანათების შექმნა	გამარტივებულია გადაადგილება და გაზრდილია უსაფრთხოება	მუნიციპალიტეტის მერია	რეგიონალური განვითარების სამინისტრო	2020	350 000					
1. 1. 6	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფ. მუხურში (ლეთოლორდეს უბანში) გზის ასფალტო-ბეტონის დაგება	გამარტივებულია გადაადგილება, შემცირებულია სატრანსპორტო ხარჯები და გაზრდილია უსაფრთხოება	მუნიციპალიტეტის მერია	რეგიონალური განვითარების სამინისტრო	2021	796000					
1. 1. 7	სოფ. ლეწურწუმე(ჯუმითის უბანი)გზის ასფალტო-ბეტონის დაგება	გამარტივებულია გადაადგილება, შემცირებულია სატრანსპორტო ხარჯები და გაზრდილია უსაფრთხოება	მუნიციპალიტეტის მერია	რეგიონალური განვითარების სამინისტრო	2020-2021	1300000					
1. 1. 8	სოფ. კირცი(ლეტემეს უბანი)გზის ასფალტო-ბეტონის დაგება	გამარტივებულია გადაადგილება, შემცირებულია სატრანსპორტო ხარჯები და	მუნიციპალიტეტის მერია	რეგიონალური განვითარების სამინისტრო	2020-2021	1527000					

		გაზრდილია უსაფრთხოება			ო							
1. 1. 9	სოფ.ხაბუმე(კალინინის უბანი)გზის ასფალტო ბეტონის დაგება	გამარტივებულია გადაადგილება, შემცირებულია სატრანსპორტო ხარჯები და გაზრდილია უსაფრთხოება		მუნიციპალიტეტის მერია	რეგიონალური განვითარების სამინისტრო	2021	1146000					

სამუშაო ჯგუფმა დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად დამატებით განსაზღვრა შემდეგი აქტივობების განხორციელების საჭიროება, რა მიმართულებითაც მუნიციპალიტეტი იმუშავებს დამატებითი ფონდების მოძიებაზე და/ან საკუთარი სახსრებით დაფინანსების გამოყოფაზე მომავალ წლებში:

ამოცანა 2.1 მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული პოტენციალის გამოყენება, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ახალი მარშრუტების შექმნა და მოსახლეობის ჩართვის ხელშეწყობა ამ დარგში

- მუხური- ტობავარჩხილის მარშრუტის მოწესრიგება;
- ოსინდალეს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და მარტვილის კანიონიდან ტურისტების მოსაზიდად შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- ტურისტების მოზიდვის მიზნით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა ფესტივალების მოწყობა.

ამოცანა 2.2 სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა, მათ შორის გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის წახალისება

- მიწის საკადასტრო მონაცემების განახლება კატეგორიზაცია;
- ჩაის და ტუნგოს ფართობების შესწავლა და შემდგომი გამოყენების სტრატეგიის შექმნა განხორციელება;
- პოტენციური აგრარული დარგების სრული ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა ფერმერთა გაერთიანებების და კოოპერირების ხელშეწყობით;
- მუხურის ზონის იზოლირება მეფუტკრეობის თვალსაზრისით და იქ სადედე სანაშენე მეურნეობის შექმნის ხელშეწყობა; ნაპირსამაგრი ღონისძიებების სრულად განხორციელება;
- სასოფლო სამეურნეო ტექნიკაზე არსებული დეფიციტის შემცირება;
- ფერმერთა ცოდნის დონის სისტემატური ამაღლება;
- ნიადაგის ნაყოფიერების მენეჯმენტის სისტემის შექმნა.

5. მონიტორინგი და შეფასება

განვითარების დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მიღწევასკენ სვლის შესაფასებლად პოლიტიკის დაგეგმვის ეტაპზე მნიშვნელოვანია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტის გათვალისწინება. გეგმის მონიტორინგი განხორციელდება სისტემატურად, რაც გულისხმობს მონიტორინგის და შეფასების გეგმის მიხედვით გაწერილი საქმიანობების განხორციელებას, აქტივობების და პროექტების შესრულების მეთვალყურეობას დროულად ხარვეზების, შეფერხებისა თუ წარმატების შემთხვევების გამოვლენის მიზნით.

მონიტორინგის მონაცემების რეგულარული გაანალიზება ადგილობრივ ხელისუფლებას შესაძლებლობას მისცემს საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს შესაბამისი პროგრამული ცვლილებები სამოქმედო გეგმის საერთო განხორციელებისა და მიზნის მიღწევის პროცესის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად, საჭიროების შემთხვევაში.

მონიტორინგის ანგარიშები მომზადდება შემდეგი პრინციპებისა და ტექნიკური სტანდარტების დაცვით:

დროულობა - ანგარიშები მომზადდება დროულად, პერიოდის შერჩევა მოხდება საბიუჯეტო პროცესისა და კალენდრის გათვალისწინებით.

ფოკუსირებული - ანგარიშებში წარმოდგენილი იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მაგალითად, კონკრეტულ პრიორიტეტებსა და აქტივობებთან დაკავშირებული მიღწევები, შესაბამისი ინდიკატორებითა და მაჩვენებლებით.

მკითხველზე ორიენტირებული - ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება მომხმარებლისთვის გასაგებ და ადვილად აღქმადი ინსტრუმენტებით, დოკუმენტი იქნება მარტივად კითხვადი და აღსაქმელი.

რელევანტური - ანგარიშგება მოხდება მხოლოდ რელევანტურ და სტრატეგიულად მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. დოკუმენტისთვის არარელევანტური იქნება ყოველდღიური ადმინისტრაციული ხასიათის ინფორმაციისა და აქტივობების შესახებ დეტალების აღწერა/წარმოდგენა, რაც არ სძენს დოკუმენტს დამატებით ღირებულებას, და ნაკლებად საინტერესოა საზოგადოებისათვის.

მონიტორინგისა და შეფასების ნაწილში ადგილობრივი ხელისუფლება მიესალმება საზოგადოების ორგანიზაციების, მოქალაქეებისა და ბიზნეს სექტორის ჩართულობას, რაც მეტად ეფექტიანს გახდის ამ პროცესს.

მონიტორინგი და შეფასება, რაც დაკავშირებულია სამოქმედო გეგმის განახლებასთან, დაგეგმილია 2 წელიწადში ერთხელ. გამომდინარე იქიდან, რომ 1 მარტამდე მზადდება ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, რასთან ერთად განხორციელდება მონიტორინგისა და შეფასების ნაწილიც, პირველი წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის გათვალისწინებით.

შედეგების საფუძველზე კი მოხდება სამოქმედო გეგმის განახლება უკვე შემდეგი ორი წლისათვის.

შედეგად განხორციელდება:

- შედეგებისა და გავლენის შეფასება მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად საშუალო და გრძელვადიანი პერიოდზე;
- გაუმჯობესებასთან დაკავშირებული მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების შემუშავება;
- ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის დონის ამაღლება;
- რესურსების ეფექტიანი განაწილების ხელშეწყობა მიზნებსა თუ მიზნობრივ პროგრამებს შორის.

მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლინდება:

- რამდენად წარმატებით მოხდა იმ სასურველი შედეგის დადგომა რაც მიზნებსა და ამოცანებში არის ასახული; ან რამდენად არის პროგრესი მათი გადაწყვეტის მიმართულებით;

რამდენად წარმატებით მოხდა იმ პრობლემებისა და მათი გამომწვევი ფაქტორების გადაწყვეტა რაც მიზნებსა და ამოცანებში იყო წარმოდგენილი; ან რამდენად არის პროგრესი მათი გადაწყვეტის მიმართულებით.

დანართი

დანართი 1. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები:

- ადმინისტრაციული ერთეული ქ. ჩხოროწყუ (სოფ. გარახა);
- ადმინისტრაციული ერთეული ლესიჭინე (სოფ. პირველი ლესიჭინე, სოფ. მეორე ლესიჭინე, სოფ. ოჩხომური);
- ადმინისტრაციული ერთეული ქვედაჩხოროწყუ (სოფ. ქვედაჩხოროწყუ, სოფ. ლეჯიქე);
- ადმინისტრაციული ერთეული ახუთი (სოფ. ახუთი, სოფ. მონგირი);
- ადმინისტრაციული ერთეული ნაკიანი (სოფ. ნაკიანი, სოფ. ლეახალე, სოფ. ლექარჩე);
- ადმინისტრაციული ერთეული კირცხი (სოფ. კირცხი, სოფ. სარაქონი);
- ადმინისტრაციული ერთეული ლეწურწუმე (სოფ. ლეწურწუმე, სოფ. ჯუმითი, სოფ. ნაგვაზუ)
- ადმინისტრაციული ერთეული ხაბუმე (სოფ. ხაბუმე, სოფ. ჯუმითი, სოფ. მოიდანახე);
- ადმინისტრაციული ერთეული მუხური (სოფ. მუხური, სოფ. ლეგახარე, სოფ. ქოყო);
- ადმინისტრაციული ერთეული ჭოღა (სოფ. პირველი ჭოღა, სოფ. მეორე ჭოღა, სოფ. ლექობალე);
- ადმინისტრაციული ერთეული ნაფიჩხოვო (სოფ. ნაფიჩხოვო, სოფ. ლედარსალე, სოფ. ხანჭვი);
- ადმინისტრაციული ერთეული თაია;
- ადმინისტრაციული ერთეული ზუმი.

დანართი 2.

2019 მოქმედი სოციალური პროგრამებია:

1. ჰემოდიალეზზე მყოფ პაციენტთა დახმარება	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) მოქალაქეების რომლებიც დამოკიდებულნი არიან ჰემოდიალეზზე.	24500	ყოველთვიურად გასაცემი თანხა 1 ბენეფიციარზე 150 ლარი
2. შშმ პირთა მათთვის საჭირო სპეც. საშუალებებით უზრუნველყოფა. (სპეც. ფეხსაცმელი, ყავარჯენი, ეტლი, და სხვა).	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) მოქალაქეები, რომლებიც საჭიროებენ აღნიშნულ სამედიცინო საშუალებებს	12000	
3. მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) მოქალაქეები, რომლებიც საჭიროებენ აღნიშნულ სამედიცინო დახმარებას.	84000	
4. შშმ ბავშვთა და მოზარდთა დახმარება 0-18 წლამდე ასაკის	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) 0-18 წლამდე ასაკის შშმ ბავშვთა და მოზარდთა დახმარება	47550	ყოველთვიურად გაიცემა თითოეულ ბენეფიციარზე 50 ლარი
5. მოსახლეობის ერთჯერადი ფულადი დახმარება	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) შეჭირვებული ოჯახების დახმარება	33950	ერთჯერადად გაიცემა 50 ლარიდან 200 ლარამდე ფულადი დახმარება
6. მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების დახმარება	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მოქალაქეებზე	17500	მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებზე გასაცემი თანხა 1000 ლარი, ხოლო ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპული ოჯახების დახმარება 1500 ლარი ერთჯერადად
7. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) მოქალაქეებზე	96000	ვისაც ჰყავს 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის მოზარდი (დახმარება 40 ლარი თვეში 1 ბავშვზე)

8. ახალშობილ ბავშვთა დახმარება	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული(ადგილობრივი და დევნილი) მოქალაქეებზე	44000	პირველ და მეორე ბავშვზე 200 ლარი, მესამე ბავშვზე 300 ლარი მეოთხე ბავშვზე 400 ლარი, მეხუთე ბავშვზე 500, მეექვსე და ყოველ მომდევნო ბავშვზე 1000 ლარი
9. უსინათლოთა დახმარება	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) მოქალაქეებზე	10000	ერთჯერადად გაიცემა 1 ბენეფიციარზე 250 ლარის ოდენობით
10. ასწელს გადაცილებულთა დახმარება	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) მოქალაქეებზე	3000	ერთჯერადად გასაცემი თანხა 1 ბენეფიციარზე 500 ლარის ოდენობით
11. გაუსაძლის საბინაო პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) მოქალაქეებზე	62000	გაუსაძლის საბინაო პირობებში მყოფი ოჯახების საცხოვრებელი სახლების შეკეთება რეაბილიტაცია
11. ჩერნობილის ავარიის ლიკვიდაციაში მონაწილეთა დახმარება	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ შესაბამისი სტატუსის მქონე (ადგილობრივი და დევნილი) მოქალაქეებზე,	3200	თითოეულზე ერთჯერადად გაიცემა 200 ლარი.
13. უსახლკაროთა დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა (ბინის ქირა)	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ უსახლკარო მოქალაქეების ბინის ქირით უზრუნველყოფა(ყოველთვიურად გასაცემი თანხა 1 ბენეფიციარზე 100 ლარი	39000	სტიქიის გამო უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახებზე თვეში გასაცემი თანხა 150 ლარი
14. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებითი უზრუნველყოფა (უფასო სასადილო)	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) მოქალაქეებზე	31500	

<p>15. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისა და დევნილების დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურება</p>	<p>ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) მოქალაქეებზე</p>	<p>5000</p>	<p>გარდაცვლილ დევნილთა და ომის მონაწილეთა დაკრძალვა დაფინანსდება 5000 ლარით, (მათ შორის დევნილთა დასაკრძალად გამოიყოფა 150 ლარი ,ხოლო ომის მონაწილეთათვის 250 ლარი.</p>
<p>16. "ც" ჰეპატიტის , შიდსის,ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის თანადაფინანსება</p>	<p>ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) მოქალაქეებზე</p>	<p>18000ლარი</p>	
<p>17. ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება</p>	<p>ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) მოქალაქეებზე</p>	<p>10000</p>	<p>ყოველთვიური დახმარება შეადგენს 100 ლარს შემაკავებელი /დამცავი ორდერის ვადის გასვლამდე.</p>
<p>18. წითელი ჯვრის საზოგადოების მიერ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი სოციალური პროექტების თანადაფინანსება</p>	<p>ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ დევნილ და არადევნილ მოქალაქეებზე</p>	<p>23000</p>	
<p>19. სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარება</p>	<p>ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) მოქალაქეებზე</p>	<p>45000</p>	